საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3323

სააღდგომო ეპისტოლე
2024

„სიწმიდით მიწევნად აღდგომასა, პასექსა მას საიდუმლოსა, რომლისა მიერ ადამ კვალად ეგო პირველსა სამოთხისა ფუფუნებასა“.

(დიდი მარხვის მე-3 შვიდეულის ხუთშაბათის მწუხრის დასდებელი)

აღდგომილი მაცხოვრის მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო!

კვლავ მივიწიენით წმინდა აღდგომამდე, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების აღუწერელ და გამოუთქმელ სიხარულამდე; საიდულოთა გზით კვლავ ვიხმიეთ გემო ჩვენი სამგვამოვანი ღმერთის ზეციური სასუფეველისა; დავსტკბით ქრისტეს ეკლესიის ყოვლად დიდებული სხეულის ღვთაებრივი მშვენიერებით, რომელ არს „სამოთხე ახალი“; გვიხარის, განვსცხრებით რა ჩვენი გამომხსნელისა და მაცხოვრის მიერ უსაზღვრო სახიერებით ჩვენთვის უხვად მონიჭებული სულიერი თავისუფლებით.

ისტორიულად პასექი ებრაელი ხალხის ეგვიპტის მონობიდან თავისუფლებაში გადასვლის აღმნიშვნელია ქანაანის მიწაზე, სულიერად კი, წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით, იგი (წმინდა პასექი) უმდაბლესიდან უმაღლესში, მიწიერიდან ზეციურში, სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასვლას წარმოადგენს ქრისტიანთათვის (იხ. „სიტყვა აღდგომისათვის“).

პავლე მოციქულის მტკიცებით, „ზატიკად ჩუენდა, ჩუენთვის დაიკლა ქრისტე“ (1კორ. 5,7). ჩვენი ქრისტიანული საიდუმლოპასექიესარისშინაგანიმონობის შინაგანი თავისუფლებით შენაცვლება, ცოდვისა - სათნოებებით, შიშის შეცვალება შეუპოვრობით, მიწისა - ზეცით, სულიერი სიკვდილის - მარადიული სიცოცხლით, გაცვლა ეშმაკის მონობისა ღმრთის შვილთა თავისუფლებაზე.

მკვდრეთით აღმდგარმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ განგვიღო გზა ცხონებისა, თავად წარმოადგენს რა მარადიულ ცხოვრებასთან მიმყვანებელ „გზას“ (იოანე 14,6) და „კარს“ (იოანე 10,9). სულის სიღრმეში ჩვენ უკვე ცოდვის წყვდიადიდან მადლისმიერ ნათელში გადავდივართ. ვიდრე ღმერთკაც უფალთან ერთად ვვალთ, მისი ნათელი წარმართავს ჩვენს ნაბიჯებს, რათა „არა გვიბრკუმეს“ და „არა წარვსცეთ ფერჯი“ (იოანე 11,9-10) ღვთის შემეცნების საწინააღმდეგოდ ჩვენს წინაშე აღმდგარ ყოველ დაბრკოლებას (2კორ. 10,5).

ცოდვისგან განშორება, - შეგვახსენებს ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, - სიმდაბლესა და სინანულში, როგორც საფლავში შესვლას ნიშნავს. გარნა სწორედ იქ გვპოვებს ჩვენ ქრისტე და აღგვადგენს საიდუმლო აღდგომით უკვე ამ ცხოვრებაში, რითაც მისი ღმრთაებრივი დიდების თანაზიარად გვხდის (იხ. კატეხიზისი 13)!

* * *

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო,

დიდი მარხვის მთელი სამოღვაწეო პერიოდი ჩვენს სულიერ სვლასა და მსხვერპლს წარმოადგენდა, რათა ღირსეულად მივახლებოდით აღდგომისწმინდადანათელდღესასწაულს.ჩვენსვნებულდამკვდრეთით აღმდგარ გამომხსნელთან შეხვედრისა და შეერთების სააღდგომო და ღვთაებრივი გრძნობა ჩვენი დიდმარხვისეული მომზადების საზომით განისაზღვრება. მხოლოდ განწმენდილი გრძნობების მქონე ადამიანებს ძალუძთ განიხარონ და განიცადონ ნათელი აღდგომისა. სიწმინდე, რომელიც მოითხოვს ხორციელ მარხვას, სულიერ თავშეკავებასა და სინანულის ცრემლებს და მათით მოიპოვება, თანხვდება უცდომელ მართლმადიდებლურ გადმოცემასა და გამოცდილებას.

რათა გავნათლდეთ ღმრთის თვალში, რათა ღირსნი გავხდეთ აღდგომის ღვთაებრივი ნათლისა, უნდა განვიძარცვოთ „კვართი თავშეუკავებლობისა“ და გამოვხადოთ ჩვენგან „ტყვე იგი ვნებათაჲ“, შევიმოსოთ „ბრწყინვალე კვართი მარხვისა, მოთმინებისა და კრძალულებისა“, რადგან მხოლოდ ამგვარი შინაგანი მდგომარეობით ვიქნებით ქრისტე მაცხოვართან ნამდვილ ერთობაში.

და აწ, რაჟამს დადგა სიხარული და განსვენება აღდგომისა, დადგა პერიოდი ზატიკობისა თვისითა ნუგეშის ცემითა და ყოველგვარი საზრდელის სიუხვით, ნუ დავივიწყებთ და ნუ მივატოვებთ ღმერთთან მიახლებისა და მასში მყოფობის ერთადერთ საშუალებას: თავშეკავებას, წმინდა გულს, ნათელ მლოცველ გონებას და ჭეშმარიტი სარწმუნოების, სინანულისა და სათნოებათა კეთილ საქმეებს.

* * *

უფლის მიერ საყვარელნო შვილნო,

დაე, ჩვენი ქრისტიანული ჩინება - წოდება და ცხოვრება

მუდამ აღდგინებული, ცხოველსმყოფელი და ჭეშმარიტი იყოს იმ ჟამამდე, ვიდრე ჩვენი აღმდგარი მაცხოვარი არ მიგვიღებს ნეტარ განსასვენებელში, რომელიც სამართლად ელოდება მათ, „რომელნი მოკუდენ უფლისა მიერ“ (გამოცხ. 14,13)!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

† მთავარეპისკოპოსი კალინიკე
ათენისა და სრულიად ელადისა
და
საბერძნეთის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიის
წმინდა სინოდი